# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

29 იანვარი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 15 (10 428) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


**შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აგრომრეწვბანკის საქართველოს ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ შეიტანოთ**

## მე-700

**ანგარიშზე. თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

● ნაძალადევის „რაისურსათ-ვაჭრობის“ ქსელის თანამშრომლებმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 5 000 მანეთი. გარდა ამისა, მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გადაწყდა: ისინი ამ ფონდში ყოველ თვე გადარიცხავენ ერთ დღეში გამომუშავებულ საერთო თანხას.

ამავე დროს, მათ მიიღეს მიმართვა ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების ყველა თანამშრომლისადმი, სადაც მოუწოდებენ, მათაც გაიღონ თავისი წილი ეროვნული თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად (გვაცნობა ჯ. ომანაძემ).

● ისნის რაიონის ნავთლუღის საკოლმეურნეო ბაზრის კოლექტივმა ეროვნული თავდაცვის ფონდში შეიტანა 4 000, სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში კი 6 000 მანეთი (შ. ოთიურიძე).

● „თბილქალაქმშენის“ № 2 სახლმშენებელი კომბინატის მუშაკებმა ეროვნული თავდაცვის ფონდს შემატეს 5 000 მანეთი (ნ. ხარაბაძე).

**სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი:
საქართველოს მრეწვმშენბანკის
საოპერაციო სამმართველო სფბ № 521921**

## 00700750

**თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.**

## სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი მრავალმილიონიან ფონდად იქცეს!

### წითელწყარო

● სოფელ წითელწყაროს მეცხვარეობის საიჯარო საწარმომ სამაჩაბლოს აღორძინების ფონდისთვის გაიღო 5 000 მანეთი (ბიკაშვილი, დეპეშით).

### გალი

ცენტრალური საავადმყოფო პოლიკლინიკის თანამშრომლებმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხეს 2 500 მანეთი (ს. გუნჯუა).

# სეზონი დაიწყო... თექვსმეტი მედლით

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები, ტრადიციულად, ზაფხულის თვეებში ტარდება. ამიტომაც, უწოდებენ მას საზაფხულო სპარტაკიადას, განსხვავებით ზამთრის სპარტაკიადისაგან, რომელიც წლის დასაწყისში იმართება, ცხადია, ზამთრის სახეობების წარმომადგენელთა მონაწილეობით. წლეულს სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიამ დაუშვა ერთი გამონაკლისი. ძიუდოისტებს იანვარშივე მისცა ურთიერთობის გარკვევის უფლება.

რატომ ასეთი სიჩქარე? მხოლოდ ერთი მიზეზით: 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ეწყობა ივლისში ბარსელონაში და ნაკრების წევრებს ამ საპასუხისმგებლო ტურნირისთვის განსხვავებული გრაფიკით და საგანგებო პირობებში მოუწევთ ვარჯიში.



გურამ მოდებაძე

მაშ ასე, მეათე საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის პირველ სახეობას (სულ შეჯიბრებები 39 სახეობაში ჩატარდება) ბელორუსიის დედაქალაქმა, მინსკმა უმასპინძლა. იქვე პარალელურად მოეწყო ცალკე შეჯიბრება საკავშირო სპორტსახკომის პრიზზე. რა საჭირო იყო ისედაც დაძაბული ტურნირის კიდევ უფრო გადატვირთვა? მხოლოდ იმისთვის, რომ სპარტაკიადის ჩემპიონთა პარალელურად გამოევლინათ სსრ კავშირის ჩემპიონებიც (სპარტაკიადაში მონაწილე რესპუბლიკებს ყოველ წონაში თითო სპორტსმენი გამოჰყავდათ და ამის გამო, ბევრი ძლიერი მოჭიდავე შეიძლებოდა „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩენილიყო).

პრაქტიკულად კი ეს ასე განხორციელდა. სასპარტაკიადო ტურნირსა და სპორტსახკომის შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ერთმანეთს ხვდებოდნენ დამატებით და საუკეთესონი საბჭოთა კავშირის 1991 წლის ჩემპიონებად ცხადდებოდნენ.

როგორ გაიარეს საქართველოს ძიუდოისტებმა სასპარტაკიადო მარათონი? ამის შესახებ დაწვრილებითი საუბარი ალბათ, მოგვიანებით გვექნება. ამჯერად კი, მხოლოდ ტექნიკურ შედეგებს გაგაცნობთ.

### სპარტაკიადა

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა დაიკავა პირველი ადგილი და მთავარი მეტოქე — რუსეთის ფედერაციის ძიუდოისტთა კოლექტივი 15 ქულით ჩამოიტოვა. პირად ასპარეზობაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

### ოქროს მედლები

დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი) — მძიმე წონა.

კობა კურტანიძე (გორი) — 95 კგ.

გურამ მოდებაძე (ხაჩხერე)—65 კგ.



გიორგი გაჩეჩილაძე

### ვერცხლის მედლები

დავით ბაგაური (ახმეტა) —86 კგ.

ვლადიმერ დგებუაძე (სოხუმი) — 71 კგ.

### ბრინჯაოს მედლები

ბათო ჯიქური (დუშეთი) — 78 კგ.

ამირან ტოტიკაშვილი (მარტყოფი) — 60 კგ.

ვიქტორია კაზუნინა (თბილისი) — აბსოლუტური.

ლიუდმილა ქობულოვა (თბილისი) — 65 კგ.

მკითხველს ალბათ გაუკვირდება მსოფლიოს ჩემპიონის ამირან ტოტიკაშვილის წარუმატებლობა, რომელმაც სასპარტაკიადო ტურნირში მხოლოდ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. აი, რას იტყობინება ამის შესახებ საკდესის კორესპონდენტი ჰ. ხაჩკოვანიანი: „არ გაუმართლა ტურნირის ყველაზე ტიტულოვან ძიუდოისტს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ამირან ტოტიკაშვილს. ბაქოელ ელჩინ ისმაილოვთან პირველსავე შეხვედრაში მან ძლიერ დაიზიანა მარჯვენა ხელი და წააგო შეხვედრა სპარტაკიადის მომავალ ჩემპიონთან. მაგრამ შეუპოვარმა ამირანმა განაგრძო ბრძოლა ნატკენი ხელით და, მესამე ადგილი მაინც დაიკავა“.

სასპარტაკიადო ტურნირში ყოველ გუნდს რვა მონაწილე გამოჰყავდა. შვიდმა ქართველმა ძიუდოისტმა, როგორც ნახეთ, საპრიზო ადგილი დაიკავა. მერვე მონაწილე გახლდათ შარშანდელი ჩემპიონი აბსოლუტურ კატეგორიაში ზაზა დაბრუნდაშვილი, რომელმაც V-VI ადგილები გაიყო.

### საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

### ოქროს მედლები

დავით ხახალეიშვილი (ქუთაისი) — მძიმე წონა.

კობა კურტანიძე (გორი) — 95 კგ.

გიორგი გაჩეჩილაძე (ზესტაფონი) — 86 კგ.

### ვერცხლის მედლები

ჯონდო დაბრუნდაშვილი (ქარელი) — მძიმე წონა.

ვლადიმერ დგებუაძე (სოხუმი) — 71 კგ.

გერასიმე ხაბულიანი (თბილისი) — 65 კგ.

ვიქტორია კაზუნინა (თბილისი) — მძიმე.

სულ საქართველოს ძიუდოისტებმა ამ ორ ტურნირში 16 საპრიზო ადგილი დაიკავეს, მათ შორის ექვსი — პირველი, ექვსი — მეორე და ოთხი — მესამე.

### ძიუდოს მოყვარულთა საყურადღებოდ!

საქართველოს სპორტსმენები მინსკიდან თბილისში დღეს ბრუნდებიან. თვითმფრინავს ჩვენს აეროპორტში 19 საათსა და 25 წუთისთვის ელიან.

## თბილისური ფინალი

**საქართველოს** ტელევიზიის პრიზის გათამაშებით დაიწყო ნარდის სეზონი ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ტურნირი, რომელიც ნარდის ეროვნულმა ფედერაციამ მოაწყო, მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. ფინალში, რომელსაც გამარჯვებულის ვინაობა უნდა გაერკვ[illegible] ერთმანეთს შეხვდნენ თბილისე[illegible] მონარდეები მერაბ გაჩეჩილაძე [illegible] ირაკლი სვიმონიშვილი. მ. გაჩეჩილ[illegible] ძემ საკმაოდ წარმატებით დაიწ[illegible] თამაში (იგი იგებდა შეხვედრ[illegible] 10:1), მაგრამ ი. სვიმონიშვილ[illegible] შეძლო ცუდად დაწყებული საქმ[illegible] გამოსწორება და შემდეგ მისი წა[illegible] მატებით დაგვირგვინება — მან ა[illegible] ერთი პარტია მოიგო ზედიზედ [illegible] საბოლოოდ სძლია მეტოქეს — 15:14.

## გოგი კოლუაშვილი ლაშქრათა შორის

**დონის როსტოვი.** აქ დამთავრდა ი. პოდდუბნის სახელობის XXX ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც უცხოეთის ბევრი უძლიერესი ათლეტი გამოდიოდა.

90 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა ქუთაისელმა გოგი კოლუაშვილმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში თურქ ხაკი ბაშარს აჯობა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: სერგეი სუვოროვი (ომსკი), ალფრედ ტერმკრტიჩიანი (ერევანი), ალექსანდრე იგნატენკო (ომსკი), გენადი ატმაკინი (სარანსკი), აბდოლა ხამან გოლი (ირანი), ვესლან ჩაგიევი (კრასნოიარსკი), დაულეტ ტურლიხანოვი (ალმა-ათა), გოგი კოლუაშვილი (ქუთაისი), სერგეი დემიშკევიჩი (მინსკი), ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი).

## ფედერაცია ივლის სახეს?

**საბჭოთა** კავშირის ჩოგბურთის ფედერაცია გახდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მოსკოვში გამართულმა დამფუძნებელმა კონფერენციამ, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩოგბურთის წამყვანი სპეციალისტები, მწვრთნელები, ოსტატები. ფედერაციის თანადამფუძნებლები იყვნენ საკავშირო სპორტსახკომი და ოლიმპიური კომიტეტი. პრეზიდენტად არჩეულ[illegible] შამილ ტარპიშჩევი, რომელმაც ხმების რაოდენობით აჯობა მეორე კანდიდატ[illegible] სპორტის დამსახურებულ ოსტატ[illegible] საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრ[illegible] ვალგზის ჩემპიონს ალექსანდრე მ[illegible] ტრეველს.

დამფუძნებელი კონფერენც[illegible] ის მუშაობაში მონაწილეობა არ მ[illegible] უღიათ საქართველოს, მოლდავეთ[illegible] ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვ[illegible] ჩოგბურთის ფედერაციებს.

**შევარდენიადა თუ... ——— თქვენი აზრი?**

„იქნება ერთად მოვიფიქროთ უფრო მოხდენილი სახელი, თუ ისევ შევარდენიადაზე შევჩერდეთ? — ვწერდით ახლახან და საზოგადოებრიობას ვთხოვდით, გამოეთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა გვეწოდებინა საქართველოს კომპლექსური სპორტული ღონისძიებისათვის. დღეს გთავაზობთ პირველ გამოხმაურებას.

## დიახ, შევარდენიადა!

შევარდენი სისწრაფის, სიძლიერის, მოქნილობის, ხერხიანობის, სივრცის პყრობის სიმბოლოა. ამიტომ, უმჯობესი იქნება, სპარტაკიადის ნაცვლად სპორტული ჰიდილის გამომხატველი ეს ლამაზი ქართული სიტყვა — შევარდენიადა — დავამკვიდროთ.

**ოთარ დიდებულიძე,**
**საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

## ლიდერთა მატჩი



**მინსკი.** გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი „ბ“ ქვეჯგუფის ლიდერთა, ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის. მასპინძლებმა გადამწყვეტ უპირატესობას პირველსავე ტაიმში მიაღწიეს, რომელიც მოიგეს 11 ქულის სხვაობით (54:43), შესვენების შემდეგ კი შეინარჩუნეს ინიციატივა და საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 197:89.

თბილისელ კალათბურთელებს 9 მატჩის შემდეგ 16 ქულა აქვთ (შვიდი გამარჯვება, ორი მარცხი). ბელორუსიის კალათბურთელებმაც 16 ქულა მოაგროვეს, ოღონდ რვა შეხვედრის შემდეგ (8 გამარჯვება). რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და „დინამოს“ წარმომადგენლები სატურნირო ცხრილში ჯერჯერობით I-II ადგილებს იყოფენ.

ვაჰ, დრონი, დრონი...

# რომელი ერთი ჩამოვთვალოთ...

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შესულმა ადამიანმა არ შეიძლება არ შეამჩნიოს თმაჭაღარა, წარმოსადეგი კაცი, რომლისთვისაც წლებს ვერაფერი დაუკლია და კვლავაც მხნედ გამოიყურება.

სწორედ ახალგაზრდულ წლებს შეეხო ჩვენი საუბარი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატთან, მუზეუმის განყოფილების უფროსთან, ბატონ კოტე ჩოლოყაშვილთან, რომელიც სიჭაბუკეში კალათბურთით იყო გატაცებული.

— კალათბურთის თამაში მაშინდელ 25-ე სკოლაში (აქ ახლა 53-ე სკოლაა) დავიწყე, შემდეგ უნივერსიტეტში გავაგრძელე. პირველად დარბაზში ოთარ ჯაფარიძემ მიმიყვანა. პირველი ვარჯიში კი, მახსოვს, ნოდარ ჯორჯიკიამ ჩაგვიტარა; შემდგომ შალვა დიასამიძე გვამეცადინებდა. უნივერსიტეტის გუნდს „ნაუკა" ერქვა. ჩვენი მწვრთნელი დაკვირვებული, ფხიზელი, მოძრავი კაცი იყო და ჩვენგანაც ამ თვისებებს მოითხოვდა. მოწინაალმდეგის ნაკლს მაშინვე შეამჩნევდა, თამაშის დროს გვითითებდა კიდეც. სხვადასხვა მეთოდი ჰქონდა შემუშავებული, რომელ მეტოქესთან როგორი ტაქტიკით უნდა გვეთამაშა. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს პირველობაზე უფრო ძნელი იყო თამაში, ვიდრე საკავშიროზე. ამის მიზეზი კი გახლდათ ის, რომ ერთნაირი სიძლიერით თამაშობდნენ „დინამო", „ლოკომოტივი", ოფიცერთა სახლისა და ქუთაისის გუნდები, რომელთა მოთამაშეებიც შემდგომ „დინამოში" გადმოიყვანეს. ქართული კალათბურთის მაშინდელ სიძლიერეზე ისიც მეტყველებს, რომ საკავშირო ნაკრებში საქართველოდან რამდენიმე მოთამაშე იყო მიწვეული: ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია და სხვები. სხვათა შორის, ოთარ ქორქიას დაბადების წელი — 1923 ემთხვევა ქართული კალათბურთის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თარიღს — ამ წელს პირველად ჩატარდა საქართველოს პირველობა, რომელშიც მაშინდელმა გუნდმა „სინათლემ" გაიმარჯვა.

● **ბატონო კოტე, იმ დროს ბევრი ვარსკვლავი იცავდა ქართული სპორტის ღირსებას...**

— დიახ, ამ დროს საქართველოში დიდი სპორტის აღზევება იყო. რომელი ერთი ჩამოვთვალო, ფეხბურთელები: ბორის პაიჭაძე თუ გაიოზ ჯეჯელავა, ფრენბურთელები: კოტიკო ლომინაძე, გივი ახვლედიანი და სხვები.

რაც შეეხება ქართულ კალათბურთს, აქ ნამდვილი „ვარსკვლავთცვენა" იყო: ლევან ფალავანდიშვილი, არჩილ წერეთელი, ოთარ და გიორგი ავალიშვილები, არმო თევოსიანი, ბორის სარქისოვი, დავით ქამუშაძე, გოგი ბახტურიძე, მიხეილ კეკელიძე. კალათბურთის მექა მაშინდელი კიროვის პარკი იყო, რომლის ღია მოედანიც კალათბურთის პოპულარიზაციის უპირველესი კერა გახლდათ თბილისში. მახსოვს, მოედნის მომვლელად ძია გაბო მუშაობდა, რომლის სიტყვაც ჩვენთვის კანონი იყო! მაშინ ჩაეყარა საფუძველი ქართულ ქალთა კალათბურთს.

გაჭირვება იყო: არც ფორმა გაგვაჩნდა, ლამის ფეხშიშვლებიც ვთამაშობდით, მაგრამ ენთუზიაზმი გვასულდგმულებდა. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: ფორმები ყველას არ გვქონდა და ვარჯიშების დროს ნახევარი გუნდი წელზევით შიშვლები ვთამაშობდით. ერთხელ ასეთი ვარჯიშისას ვიღაც დარბაისელი კაცი გვიყურებდა. ჩვენს გუნდში ერთ-ერთი მოთამაშე ძალიან თმიანი იყო და ამ კაცმაც ხუმრობით იკითხა „ეს ნაბდიანიც თამაშობსო"?

● **ბატონო კოტე, იქნებ გაიხსენოთ რომელიმე თამაში, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ?**

— უნივერსიტეტის ახალგაზრდა გუნდმა საქართველოს პირველობაზე დავამარცხეთ „დინამო" და მოვიპოვეთ საკავშირო პირველობის საგზური. ერთ-ერთ თამაშს ტაგანროგში ვატარებდით. იქ რომ ჩავედით, აეროდრომზე წაგვიყვანეს სათამაშოდ. ისეთი გუნდი შეგვხვდა, რომლის მოთამაშეებმა საერთოდ არ იცოდნენ კალათბურთის წესები, თავიდანვე უხეშობდნენ და ბოლოს ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ჩვენსა და მასპინძლებს შორის. არ ვიცი, როგორ დამთავრდებოდა ყველაფერი, აეროდრომის უფროსი რომ არ მოსულიყო, რომლის ჩარევითაც, შეიძლება ითქვას, გადავრჩით. როგორც შემდგომ გამოირკვა იგი [illegible] აღმოჩნდა.

● **კურიოზებიც შეგემთხვეოდათ...**

— ერთხელ ძერჟინსკის სახელობის კლუბში ვთამაშობდით. ერთ მომენტში ავხტი და ბურთი მოვხსენი. რომ ვეშვებოდი, ჯორჯიკია მომვარდა (მაშინ სამხედრო ფორმით იყო) და შინელი შემომახვია. რა თქმა უნდა, გამიკვირდა და თავიდან ვერ მივხვდი, რა მოხდა. თურმე, ახტომისას მოწინაალმდეგეშ ტრუსის რეზინი გამიწყვიტა... ეს შეამჩნია ჯორჯიკიამ და იქვე გამომაცვლევინა ისე, რომ, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერავინ შეამჩნია.

● **ჩვენი საუბრის ბოლოს მინდა გკითხოთ: რა მოგცათ სპორტთან სიახლოვემ?**

— პირველ რიგში—ფიზიკური ჯანმრთელობა. ჩვენს დროს კარგი სპორტსმენი ეროვნულ გმირად ითვლებოდა. სპორტი ერთადერთი საშულება იყო, სადაც შენი ერის სიძლიერე უნდა დაგემტკიცებინა. ვფიქრობ, ჩვენი თაობის ახალგაზრდები ვახერხებდით ამას.

ესაუბრა
**გია გურდული.**

# მიღწევებმა რომ არ იკლოს

**თვალსაჩინო** მიღწევებით დაამთავრეს შარშანდელი წელი საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა კრივის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელებმა.

კერძოდ, სამმა მათგანმა: ჭიათურელმა თენგიზ ჯაოშვილმა (67 კგ), ცხინვალელებმა — ვადიმ ქოქოევმა (75 კგ) და იგორ ძაგოევმა (79) მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩემპიონის ოქროს მედლები დაიმსახურეს, შემდეგ კი ჯაოშვილმა და ძაგოევმა დონეცკის რინგზე გამართულ ქვეყნის ჭაბუკთა პირველობაზე კვლავ დაამტკიცეს თავიანთი სიძლიერე. მათ შეუერთდნენ თბილისელი გიორგი მელქონიანი (51) და ქუთაისელი თემურ გოლეთიანი (60). მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა გორელი დავით ჯანაშვილი (81), ხოლო მისმა თანაქალაქელებმა დავით ავაზნელმა (66) და გიორგი კანდელაკმა (91) ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

სეზონის მიწურულს კი მ. კანდელაკი თბილისის ჭაბუკთა IX საერთაშორისო ტურნირის ლაურეატი გახდა, დ. ჯანაშვილი — მესამე პრიზიორი.

ამ წარმატებების შენარჩუნებაზე, მათ გამრავლებასა და, საერთოდ მოზარდთა კრივის პრობლემებზე იყო საუბარი რესპუბლიკური სპორტსკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე, რომელიც დიღმის სპორტკომპლექსში ჩატარდა და მას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომუშავე მწვრთნელები და სპეციალისტები დაესწრნენ.

# მხოლოდ ორი გუნდით

**მხოლოდ** ორმა გუნდმა — თბილისისა და ქუთაისის ნაკრებებმა — იასპარეზა საქართველოს რესპუბლიკის ჩემპიონატზე ბატუტზე ხტომაში. ბათუმის, სოხუმის, ზუგდიდისა და სამტრედიის გუნდებმა რატომღაც თავი აარიდეს ამ შეჯიბრებას. თუ ამ ორ უკანასკნელ ქალაქში სპორტის ეს სახეობა, ასე თუ ისე, ახალი დანერგილია, ბათუმელი და სოხუმელი სპორტსმენების ჩამოუსვლელობას მართლაც არ ველოდით. იმედია, ამ ქალაქების სპორტის მესვეურნი გვაცნობებენ მიზეზებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თბილისში თითქმის ყველა უძლიერესმა ბატუტისტმა მოიყარა თავი, რუსუდან ხოფერიასა და ზაზა აბრამიშვილის გარდა, რომელნიც ტრავმის გამო არ მონაწილეობდნენ ტურნირში.

ვაჟთა შორის ინდივიდუალურ ხტომებში პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა მიხეილ პელივანიდისმა. მიუხედავად უკანასკნელ ხანს მისი არასტაბილური გამოსვლებისა, მან დაამტკიცა, რომ მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი ბატუტისტია რესპუბლიკაში. მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ მისი თანაქალაქელები: შესაბამისად — მიხეილ ნიკოლაიშვილი და გიორგი გაგუა.

ინდივიდუალურ ხტომებში გოგოებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ანა დოლონაძემ გაიმარჯვა, მეორე ადგილზე გავიდა ნინო არლანაშვილი, მესამეზე — ლელა გიგინეიშვილი.

ვაჟთა სინქრონულ ხტომებში, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო ახლადშექმნილი დუეტის — კახაბერ ქვლივიძისა და თემურ მუმლაძის გამარჯვება; მით უმეტეს, მეწყვილესთან შედარებით, თემურ მუმლაძე გამოუცდელია. ვერცხლის მედალი დაიმსახურეს კახაბერ გობრონიძემ და რემიკ პოლოზიანმა. უნდა აღინიშნოს, რომ კ. გობრონიძემ მძიმე ტრავმის შემდეგ სულ ახლახან დაიწყო ვარჯიში და უკვე ხელშესახებ წარმატებასაც მიაღწია. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ კონსტანტინე ძებისაშვილსა და მამუკა პოლოზიანს.

ქუთაისელმა ლელა გიგინეიშვილმა თავისი ოსტატობა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ტურნირზე დაამტკიცა, სადაც ორი ოქროს მედალი მოიპოვა. ამჯერად მან საქართველოს ჩემპიონატში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს სინქრონულ ხტომებში ნინო არლანაშვილთან ერთად „ოქროც" შემატა. მომდევნო ადგილზე გავიდნენ მანანა მოდებაძე და ირმა მელქაძე, ხოლო ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულნი ანა დოლონაძე და ლია ბენდიანიშვილი აქ მხოლოდ მესამენი იყვნენ. უნდა აღინიშნოს, რომ მათ ქულათა საკმაოდ დიდი რაოდენობით დათმეს ბრძოლა ზემოთ ნახსენებ ორ წყვილთან.

**თამუნა ფალავა**





# „მართვემ" აჯობა „შევარდენს"

**თუ** გავითვალისწინებთ იმას, რომ [illegible]ეს რესპუბლიკის მოზარდ მძლეოსანთა წამყვანი ძალები ორად ორ საზოგადოებაშია თავმოყრილი („მართვე", „შევარდენი"), აღარავის გააკვირვებდეს — ნებისმიერ [illegible]ენს ასპარეზობას მათი წარმომადგენლები რომ აძლევენ ტონს. გამონაკლისი არც ახლახან გამართული ზამთრის პირველობა იყო, სადაც, საპრიზო ადგილები ამ საზოგადოებების გუნდებმა გაითამაშეს.

ამჯერად კი ამ გუნდების მოზარდი სპორტსმენები (15-16 წლის) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მეორე ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში. აქვე უნდა გამოვლენილიყვნენ ისინი, ვინც 2-3 თებერვალს ზაპოროჟიეში მოზარდთა ზამთრის საკავშირო პირველობაზე რესპუბლიკის ღირსებას დაიცავს.

ასპარეზობაზე რამდენიმე სპორტსმენმა მაღალი შედეგი აჩვენა. რა თქმა უნდა, აქ მათი ასაკია გასათვალისწინებელი.

ქართველი სპორტის მოყვარულებისთვის კარგადაა ცნობილი ონაშვილების სპორტული მიღწევები: ოჯახის უფროსი — გივი მთელ ევროპაში ცნობილი ძიუდოისტი იყო, უფროსი ქალიშვილი ნინო ამ ბოლო ხანს წარმატებით გამოდის ბადროს მტყორცნელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. ამჯერად კი ბირთვის კვრის სექტორში ვიხილეთ მისი უმცროსი და მანანა („მართვე"), რომელმაც 12 მეტრსა და 28 სანტიმეტრზე გაგზავნა მძლეოსნური იარაღი. 200 და 400 მეტრზე გოგონათა გარბენებში ტოლი არ ჰყავდა მის თანაკლუბელ ნადეჟდა შახნენკოს, რომელმაც შესაბამისად 26,2 და 59,5 წამი აჩვენა. თანაგუნდელ გოგოებს წყალტუბოელმა ალექსანდრე მაღლაკელიძემ აუბა მხარი და გაიმარჯვა ბირთვის კვრაში—14 მ, 64 სმ. ამავე გუნდის წევრმა ეკა თევზაძემ ადვილად მოიპოვა გამარჯვება 800 მეტრზე რბენაში. თელაველ ელენე ჩაფიძეს კი ბადალი არ ჰყავდა სიგრძეზე ხტომაში—5 მ. 26 სმ. საბოლოოდ გაიმარჯვა „მართვემ".

მათ შეუერთდება შევარდნელი სპრინტერი აიდა ტოროსიანი და ექვსეული გაემგზავრება ზაპოროჟიეში.

სურათებზე, რომელიც ვიქტორ ბუკინმა გადაიღო, ხედავთ „მართვე"-„შევარდენის" მძლეოსანთა მატჩის მომენტებს: ჭაბუკთა 1500 მეტრზე რბენაში გამარჯვებულ სამტრედიელ პაატა ნიკოლაიშვილს („მართვე"); სპეციალური პრიზის მფლობელს, 200 და 400 მეტრზე გამარჯვებულ ნადეჟდა შახნენკოსა და გოგონათა 800 მეტრზე გარბენის მონაწილეებს.

# ორიოდ სიტყვით

## ყვარელი

ყვარელი ოდითგანვე ცნობილია სახელოვანი მოჭიდავეებით. აქ ახლაც არ ივიწყებენ ტრადიციებს: ახლახან რაიონის სპორტკომიტეტის ბაზაზე შეიქმნა საჭიდაო კლუბი „ფალავანი", რომლის პრეზიდენტია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ა. ბილანიშვილი. კლუბს სპონსორობას უწევს ყვარლის სამრეწველო-კომერციული საწარმო „ვაზის ცრემლები". მართალია, კლუბი ჯერჯერობით უბინაოდაა და შეხიზნულია სპორტსკოლას, მაგრამ სპონსორებს გადაწყვეტილი აქვთ, საკუთარი სახსრებით აუგონ შენობა.

**ლია ზიბიტაშვილი**
ყვარელი.

## ვანი

გაიმართა „შევარდენის" ვანის რაიონული საბჭოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც 10 გუნდი მონაწილეობდა. ასპარეზობა ჩატარდა წრიული სისტემით, ერთ წრედ. შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა და პირველი ადგილი დაიკავა მთისძირის გუნდმა.

## აბაშა

აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში ჩატარდა სოფლის პირველობა მინიფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა მერაბ კოსტავას ხსოვნას. პირველი ადგილი დაიკავეს საქოიავოს მინიფეხბურთელებმა. შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

## რუსთავი

რუსთავში დამთავრდა ქალაქის საჭადრაკო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა 40 მოჭადრაკე. ასპარეზობა ჩატარდა შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად. 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ბიბილაშვილმა. გოგოებს შორის საუკეთესო იყო ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე ქეთევან კაბისაშვილი, რომელმაც 5,5 ქულა დააგროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ურთულესი პროფესია...

როგორც გახსოვთ, შარშან, 18 ნოემბერს გაიმართა საქართველოს თასის ფინალური მატჩი. ამ შეხვედრას ერთგვარად უნდა შეეჯამებინა კიდეც არცთუ ისე იოლი საფეხბურთო სეზონი, ჩვენდა გასახარად, ყველაფერი ისე დამთავრდა, როგორც ველოდით. ფეხბურთელებმა ყოველი ღონე იხმარეს, რათა თამაშზე მოსული გულშემატკივრებისთვის ეჩვენებინათ ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი, რომელსაც წარმატებით გაუძღვა მსაჯთა ბრიგადა მთავარი არბიტრის მერაბ მაღალურაძის თაოსნობით. მან, სპეციალისტთა აზრით, უშეცდომოდ ჩაატარა ეს რთული მატჩი. შემთხვევითი არ იყო, რომ სეზონის დასასრულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კურპუსმა მერაბი ექვს საუკეთესო არბიტრს შორის დაასახელა. დღეს სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

**● მერაბ, ჩვენი საუბარი საქართველოს თასის ფინალური მატჩით დავიწყოთ.**

— ეს დღე დაუვიწყარი იყო ჩემთვის, მატჩის დღემდე არ ვიყავი გაფრთხილებული: მხოლოდ რამდენიმე საათით ადრე მითხრეს, რომ ფინალური შეხვედრა მე უნდა მემსაჯა. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რადგან რესპუბლიკის არბიტრთა შორის, რომლებიც უმაღლეს ჯგუფს ემსახურებიან, მე ყველაზე ახალგაზრდა ვარ, ამიტომაც უფროს კოლეგებთან შედარებით ნაკლებად გამოცდილი ვარ. მიუხედავად ამისა, არჩევანი ჩემზე შეაჩერეს. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას ამ ნდობისათვის. აქვე დავძენ, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა მსგავსი დღე კიდევ განმეორდეს ჩემს ცხოვრებაში. რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად აღვიქვამ იმ პატივს, რაც 1990 წლის 18 ნოემბერს მხვდა წილად.

**● გვიამბეთ თქვენი პროფესიის შესახებ. როგორ დაიწყეთ მსაჯობა?**

— ბავშვობიდან, როგორც ბევრი ჩემი თანატოლი, მეც ფეხბურთით ვიყავი გატაცებული. ვვარჯიშობდი ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლაში ბატონ ვლადიმერ ელოშვილთან. ვიყავი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრი. საფეხბურთო კარიერა ფიზკულტურის ინსტიტუტში დავამთავრე, სადაც რამდენიმე წელი რესპუბლიკის ჩემპიონატში ვთამაშობდი. ჩემი მსაჯად ნათლობა კი შემდეგნაირად მოხდა: ვაკეში ვცხოვრობ. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ თითქმის ყოველდღე ყოფილ „ლოკომოტივის" სტადიონზე დავდიოდი სავარჯიშოდ. ერთ დღესაც ბატონმა ვლადიმერ ელოშვილმა მთხოვა სკოლის სხვადასხვა ასაკის ბავშვების შეხვედრა მემსაჯა. როგორც ჩანს, იმ დღეს ცუდად არ შევასრულე დაკისრებული მოვალეობა და ჩემი მწვრთნელის ქებაც დავიმსახურე. ასე მივდიოდი ყოველდღე ჩემთვის ამ საყვარელ სტადიონზე და პატარების შეხვედრებს ვსჯიდი. სწორედ ამ დროიდან დამებადა აზრი, რომ უფრო პრესტიჟულ შეხვედრებში გამომეცადა ჩემი ძალები; ალღო მკარნახობდა, რომ შემეძლო ამ რთული საქმისთვის გამერთვა თავი. ყოველივეს დაემატა ისიც, რომ ამ სკოლაში მწვრთნელებად მუშაობდნენ უკვე საკმაოდ ცნობილი არბიტრები· ელგუჯა სილაგავა და ჯუმბერ ჩუხუა, რომლებმაც, როგორც იტყვიან, მსაჯობის ანბანი შემასწავლეს. პირველი ოფიციალური შეხვედრის ჩატარების საშუალება კი სულ ცოტა ხანში მომეცა. ჩემს უფროს კოლეგებთან ერთად ჭაბუკთა რესპუბლიკურ ტურნირს ვემსახურებოდი. ამ ასპარეზობის მთავარი მსაჯის ვიქტორ ხეჩოიანის მცდელობით ბევრ საჭირო ნიუანსში გავერკვიე. საბედნიეროდ, არბიტრის კარიერა ჩემთვის სასიკეთოდ წარიმართა; ზუსტად ერთი წლის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგის მსაჯობის უფლება მომცეს.

**● მერაბ, ოცდაშვიდი წლის ხართ. უკვე ექვსი წელიწადია ამ ურთულეს პროფესიას მისდევთ. ალბათ, დროის ამ მონაკვეთში ათასი პრობლემა შეგხვედრიათ. თავიდან რომ დადგეთ არჩევნის წინაშე, თუ აიღებდით ხელში სასტვენს?**

— პირდაპირ გეტყვით: ყოველი სეზონის შუალედში ერთი სული მაქვს ჩემპიონატი როდის დამთავრდება, მაგრამ ამ მცირე შესვენების დროსაც, ჩემპიონატის დასასრულს რომ მოსდევს, თითებზე ვითვლი იმ დღეებს, როცა ახალი სეზონის პირველი შეხვედრის მსაჯობის საშუალება მომეცემა. დღეს ხომ ბევრად უფრო გვიოლდება მატჩების ნორმალურად წარმართვა. ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა ხდებოდა ადრე ჩვენს ფეხბურთში. მასპინძლებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ შინ დამარცხება და ყოველნაირ ღონეს ხმარობდნენ, რათა საკუთარი კედლების „სიმტკიცის" იმედით წარმატებისთვის მიეღწიათ. დღეს სხვაგვარად არის საქმე. ალბათ, რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორიაში არ გაუმარჯვიათ სტუმრებს იმდენჯერ, რამდენჯერაც 1990 წლის პირველობაში, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენს რესპუბლიკაში მსაჯობისათვის იდეალური პირობები არსებობს, მაგრამ, ყველასათვის სასიკეთოდ, შარშან ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა. ადრე რაიონის ხელმძღვანელობისაგან ტერორის ქვეშაც ხშირად გვიხდებოდა შეხვედრების წარმართვა, დღეს კი ვგრძნობ, რომ ჩემი ობიექტური მსაჯობა ბევრს სჭირდება. მსაჯის მართალი გადაწყვეტილებები ხომ ფეხბურთელსაც მეტ სტიმულს აძლევს, ამიტომაც ყოველ ღონეს ვხმარობ, რათა მომზადებული ვიყო ყველა შეხვედრისათვის. იშვიათია ხალხი, ქართველებივით რომ ერკვეოდეს ფეხბურთის მცირე ნიუანსებშიც კი. ამიტომაც სასაცილოდ ასაგდებად თავი არ უნდა გაიხადო. თუ გრძნობ, რომ არ შეგიძლია ამ რთული მისიის შესრულება, იმის ვაჟკაცობაც უნდა გეყოს, რომ წახვიდე და სხვა პროფესიას მოჰკიდო ხელი.

**● რა სხვაობას ხედავთ თქვენს მიერ ჩატარებული საკავშირო და რესპუბლიკური მატჩების მომსახურების დროს?**

— ცნობილი ფაქტია, საქართველოში სხვა ფეხბურთს თამაშობენ. რუსეთის გუნდებთან მსაჯობის დროს რამდენიმე წამით ადრეც შეგიძლიათ დააფიქსიროთ დარღვევა, რადგანაც უმეტყველო თვალებით ორთაბრძოლაში ჩაბმული მოთამაშის აშკარა უხეშობის დანახვა იოლია. ჩვენთან კი საქმე სხვაგვარადაა. კომბინაციური და ტექნიკური ფეხბურთის მსვლელობის დროს ბევრად უფრო რთულია სიტუაციებში გარკვევა; თითქმის ყველა ტექნიკურ ილეთს უნდა იცნობდე, რომ რაიმე სერიოზული ლაფსუსი არ მოგივიდეს. არის მეორე მხარეც — რუსეთის გუნდების შეხვედრების მომსახურების დროს უფრო მეტი სირბილი გიწევს, რაც ფიზიკურად დიდ გამძლეობასა და ენერგიას ითხოვს. ამიტომაც ჩვენ, ვისაც საშუალება გვქონდა მოვმსახურებოდით საკავშირო ჩემპიონატების მატჩებს, შედარებით უფრო გვიოლდება ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობა.

**● რომელ არბიტრებს ინატრებდით თქვენს პარტნიორად? ვინ არის თქვენთვის იდეალური მსაჯი?**



— საქართველოში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები. ჩვენში არაერთი ნიჭიერი და პრინციპული მსაჯი აღზრდილა, რომელთაც წლების განმავლობაში სხვადასხვა რანგის ურთულესი შეხვედრების გაძღოლა უხდებოდათ და, „ცენტრის" შოვინიზმი რომ არა, დღეს მსოფლიო მასშტაბით გაითქვამდა სახელს საქართველოს მსაჯთა სკოლა. რაც შეეხება იმას, თუ ვის ვინატრებდი პარტნიორებად — გურამ სეფიაშვილსა და ელგუჯა სილაგავას. თუმცა, გამონაკლისის გარდა, დღეს ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან ყველა ტურში რამდენიმე პრინციპულ შეხვედრაა, უმაღლეს ჯგუფში კვალიფიციური მსაჯების რაოდენობა კი ჯერჯერობით ნაკლებია. ჩემი იდეალი მსაჯებში ფრანგი მიშელ ვოტროა. ამ ადამიანს ისე შეუძლია გაუძღვეს ურთულეს შეხვედრას, რომ სულ მცირე დარღვევაც არ გამორჩეს დაუფიქსირებელი. ხშირ შემთხვევაში კი ის ძალისმიერი თამაშის საშუალებასაც აძლევს მეტოქეებს; არც აჩერებს მათ, მაგრამ ჟესტიკულაციით აგრძნობინებს ფეხბურთელს, — ყველაფერს ვხედავ და არ ვაჩერებ იმიტომ, რომ თამაშის რიტმი არ დაირღვესო. თქვენი გაზეთიდან შევიტყვე, რომ, სამწუხაროდ, სულ ახლახან ვოტროს თავი დაუნებებია არბიტრობისთვის. არადა, მის მიერ ჩატარებული შეხვედრების ყურება ბევრ ჩვენგანს მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა.

**● არაერთხელ დაიწერა იმის შესახებ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საკმაოდ სოლიდური თანხა გამოყო არბიტრათათვის. თუ შეიძლება გაგვიმხილეთ, როგორია დღეს ფინანსური ანაზღაურება?**

— ამ მხრივ მართლაც მადლობის მეტი არაფერი არ გვეთქმის. გასულ წლებში მსაჯობისთვის ხუთ მანეთს გვიხდიდნენ. დღეს თითოეული მატჩის მომსახურებისას უმაღლეს ჯგუფში მთავარი არბიტრი ას მანეთს იღებს, პირველ ჯგუფში — ოთხმოცს, ხოლო მეორეში — სამოცდაათს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ თვეში რამდენიმე შეხვედრის ჩატარება გვიწევს, თანხაც სოლიდური გვიგროვდება. წინათ მსგავს ანაზღაურებაზე ფიქრიც წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

**● რა არის საჭირო იმისათვის, რომ ეროვნული ჩემპიონატის მსაჯთა კვალიფიკაცია ამაღლდეს?**

— პირველ რიგში, პროფესიის სიყვარული. ახლო მომავალში ხომ ჩვენ ნამდვილ პროფესიონალებად უნდა ვიქცეთ. ამიტომაც ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა მეტი ვიმუშაოთ საკუთარ თავზე და გავიუმჯობესოთ კვალიფიკაცია. მისასალმებელია ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება მსაჯთა კურსების ჩამოყალიბების თაობაზე. მსგავსი კურსები 1986 წელსაც შეიქმნა, სადაც ბატონმა გიორგი ბაქანიძემ რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა მსაჯობის ანბანს აზიარა. იმ თაობიდან დღესაც ბევრი არბიტრი ემსახურება რესპუბლიკის ჩემპიონატს და საკმაოდ წარმატებითაც. მათგან უმრავლესობა ფეხბურთელი იყო, რაც უიოლებდათ მათ პროფესიის დაუფლებას. აქვე დავძენ, რომ, ვისაც ფეხბურთი არ უთამაშია, გაუძნელდება მსაჯის ურთულესი პროფესიის ათვისება. ბევრ სიტუაციაში ხომ შენ თვითონ უნდა წარმოიდგინო თავი მოთამაშის ადგილზე და ამის მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება.

**● 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯთა მიმართ ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, სახელგანთქმულ არბიტრებს წარმოუდგენელი შეცდომები მოსდიოდათ. ხშირი იყო დროის გაუმართლებელი დამატების შემთხვევებიც, რაც ბევრჯერ მატჩის შედეგზეც ახდენდა გავლენას...**

— მართალი ბრძანეთ — შეცდომები საკმაოდ იყო. მსგავსი რამ ჩვენს არბიტრებს რომ მოსვლოდათ, ალბათ, მინდვრიდანაც ვერ გამოვაღწევდით ცოცხლები, მაგრამ უცხოელი მსაჯები ჩვენთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არიან. მათ იციან, რომ ყოველმხრივ ხელშეუხებლები არიან და ამიტომაც ყოველნაირი დამატებითი სტრესი მოხსნილი აქვთ. ეს კი მსაჯისთვის თითქმის ყველაფერს ნიშნავს. ჩვენ შეზღუდულები და დაძაბულები ვართ, რომ რაიმე არ შეგვეშალოს და ჩვენმა არასწორმა გადაწყვეტილებამ გავლენა არ იქონიოს შეხვედრაზე. დროის გადაჭარბება ახსენეთ. ასეთი შემთხვევები მართლაც რომ ბევრი იყო, მაგრამ არ მახსოვს რომელიმე ფეხბურთელი მივარდნოდეს არბიტრს იმ მოტივით — ამდენს რატომ ამატებო; ჩვენს მინდვრებზე კი იმდენი საათი იქნება გამოგლეჯილი და გატეხილი, რომ ვერც დათვლი.

**● თქვენი უახლოესი გეგმები?**

— მსაჯებმა ფეხბურთელებივით უკვე დავიწყეთ ახალი სეზონისათვის მზადება. სეზონის დასაწყისში ორკვირიან შეკრებას გავივლით ქობულეთში(?) სხვადასხვა ნორმატივებთან ერთად საშუალება მოგვეცემა ვიმსაჯოთ შეკრებაზე მყოფი სხვადასხვა გუნდების ამხანაგური მატჩები.

ესაუბრა ზაზა კახაძე.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **რომი.** იტალიის ჩემპიონატში „მილანმა" საკუთარ მინდორზე ანგარიშით 1:0 მოუგო „პიზას" და ახლა მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება გათამაშების ლიდერს „ინტერს", რომელსაც 24 ქულა აქვს. აღსანიშნავია, რომ ეს ერთადერთი ბურთი გაიტანა მასარომ, რომელიც მწვრთნელებმა მ. ვან ბასტენის ნაცვლად შეიყვანეს შემადგენლობაში. რაც შეეხება მ. ვან ბასტენს, ეს შეცვლა მან თვითონ მოითხოვა იმ მოტივით, რომ ამჟამად ფორმაში არ არის და ვერ ამართლებს მწვრთნელთა იმედებს.

„ინტერისა" და „მილანის" შემდეგ 22-22 ქულა აქვთ „იუვენტუსს", „პარმას" და „სამპდორიას".

● **პარიზი.** საფრანგეთის საფეხბურთო კლუბ „ტულონის" გულშემატკივართა ხულიგნურმა საქციელმა პარიზის „პარი სენ-ჟერმენთან" მატჩში მკაცრი სანქციები გამოიწვია. საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით „ტულონი" ჯარიმას გადაიხდის 10 ათასი დოლარის ოდენობით, განმეორებითი მატჩი კი ნეიტრალურ მინდორზე შედგება.

დანაშაული კი ასეთია: „ტულონის" ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ანთებული შუშხუნა ისროლა, იგი თავში მოხვდა გვერდით მსაჯს და სერიოზული ტრავმა მიაყენა მას.

● **მადრიდი.** ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთის ფედერაცია მზადაა 400 ათასი დოლარი გადაუხადოს ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბს „ფიგერასს" იმის სანაცვლოდ(?) რომ გააგრძელოს კონტრაქტი ნაკრების ფეხბურთელთან ტ. რამოსთან.

24 წლის ტ. რამოსი ამერიკელთა გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო იტალიის განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში, მას იმედი აქვს, რომ მალე ესპანეთის პირველი დივიზიონის რომელიმე კლუბშიც დაიმკვიდრებს ადგილს.

## საუკეთესოთა შორის საუკეთესონი

**ფეხბურთის** არბიტრთა საერთაშორისო ფედერაციამ გამოავლინა მსოფლიოს საუკეთესო მსაჯები 1990 წლის შედეგების მიხედვით.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მიიჩნიეს ჟოზე რამირეს რაიტი, რომელმაც 97 ხმა მიიღო. მან იმსაჯა მსოფლიო ჩემპიონატის 4 მატჩი. მათ შორის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ინგლისის გუნდების შეხვედრა, აგრეთვე უხელმძღვანელა საკონტინენტთაშორისო თასის ფინალს ტოკიოში.

საუკეთესო ხუთეულში შევიდნენ ფრანგი მიშელ ვოტრო (43 ხმა), ინგლისელი ჯონ კურტნი (29), დანიელი პეტერ მიკელსენი (27) და იუგოსლაველი ზორან პეტროვიჩი (26).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სერიოზული მეკარე

„იუვენტუსის" მეკარე, 33 წლის სტეფანო ტაკონი ახლა მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. იგი ტანმაღალი და ფიზიკურად მეტად ძლიერია (1,88 მ, 80 კგ), სტაბილურად თამაშობს, დიდი პოპულარობა მოიპოვა იტალიაში. აი, რამდენიმე ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.

**● თუ შეიძლება, ზოგი რამ გვითხარით თქვენს შესახებ?**

— დავიბადე 1957 წლის 13 მაისს პერუჯაში, მაქვს უმაღლესი განათლება. ჩემს ცოლს პაოლა ჰქვია.

**● თქვენ ჩინებული მეკარე ხართ, მაგრამ ძალიან იშვიათად გამოდიხართ ნაკრებში, სადაც ძენგა თამაშობს. ამავე დროს, ექსპერტები ფიქრობენ — მსოფლიო პირველობის დროს კარი თქვენ რომ დაგეცვათ, ჩემპიონობას იტალია მოიპოვებდა.**

— შეიძლება ასეც მომხდარიყო. ჩვენ დაგვღუპა იმ ავადსახსენებელმა მატჩმა არგენტინასთან. თუმცა შემდეგ რაღა შეიცვლებოდა! როგორც ამბობენ ფრანგები, „სე ლა ვი" — ასეთია ცხოვრება.

**● მეკარის რომელ თვისებას თვლით ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად?**

— აზროვნებას, მეტოქის „სვლების" წინასწარ გამოთვლას. თუ მეკარეს ეს თვისებები არა აქვს, თვით უბრწყინვალესი ფიზიკური მონაცემებიც კი ვერაფერს უშველის.

**● რომელი მეკარე მიგაჩნიათ იდეალურად?**

— დინო ძოფი.

**● ამბობენ, ქალები თქვენით ისე არიან გატაცებულნი, რომ თვით ბაჯოსაც კი არ უდებთ ამ მხრივ ტოლს.**

— ვფიქრობ, ეს გაზვიადებულია. მე სერიოზული კაცი ვარ და გართობისათვის დრო აღარ მრჩება.

**● როგორი შეხედულება გაქვთ ცხოვრებაზე?**

— მე ყოველთვის ვცდილობდი და ახლაც ვცდილობ დავეხმარო იმ ადამიანებს, რომელთაც ფეხბურთში ბედმა არ გაუღიმა.

**● ყურადღება მიაქციეს იმ ამბავს, რომ კარგი მშობლიურივით ზრუნავთ სკილაჩიზე, ყოველნაირად უჭერთ მხარს.**

— ტოტო ჩინებული ფეხბურთელია და „მზრუნველობის დაწესება" არ სჭირდება. ისე კი, მხარდაჭერა არავის ავნებს.

## პატივი ეცით ჟურნალისტებს ანუ რატომ დააჯარიმეს მოსკოვის „ტორპედო"

**ციურიხი.** მოსკოვის „ტორპედოს" საფეხბურთო კლუბი დააჯარიმეს 5 ათასი შვეიცარიული ფრანკით (3.900 დოლარი) „პრესის მუშაკთათვის არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო". საქმე ეხება უეფა-ს თასზე საფრანგეთის „მონაკოსთან" შეხვედრას, რომელიც შარშან 28 ნოემბერს გაიმართა მოსკოვში.

ეს გადაწყვეტილება მიიღო უეფა-ს საკონტროლო და სადისციპლინო კომისიის სხდომამ. ამ სხდომაზე მკაცრ სანქციებს მიმართეს 20-ზე მეტი კლუბისა და ფეხბურთელების მიმართ. მოთამაშეთა შორის არის კიევის დინამოელი ანდრეი ალექსანენკოვი, რომელიც დისკვალიფიცირებულია ორი თამაშით პრაღის „დუკლასთან" არაკორექტული საქციელისთვის (თასების მფლობელთა თასზე).

## ჯ. ნერუს თასზე

ინდოეთის ქალაქ ტრივანდრამში დამთავრდა ჯავაჰარლალ ნერუს სახელობის „ოქროს თასის" საერთაშორისო გათამაშება ფეხბურთში.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და უნგრეთის გუნდები. გაიმარჯვეს რუმინელებმა — 3:1, რომლებიც საპატიო პრიზს დაეუფლნენ. სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა.



# ოლიმპიური თადარიგი

**ბელგიის** ოლიმპიური კომიტეტი 1991 წელს დიდი სპორტის საჭიროებისთვის 70 მილიონ ფრანკს გამოჰყოფს. ასეთი განცხადება გააკეთა ოლიმპიური და ფედერაციათაშორისო კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ.

როგე პროფესიით ქირურგია, ცხოვრობს გენტში და ხშირად იგონებს 1976 წელს, როცა იგი ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნეს. იგონებს იმიტომ, რომ მაშინ დიდი სპორტისთვის განკუთვნილი ყოველწლიური ბიუჯეტი 1,2 მილიონ ფრანკს არ აღემატებოდა, იმ წელს კი მთელი თანხის ერთი მეოთხედი ცნობილი ძიუდოისტის რობერ ვან დე ვალეს მონრეალის თამაშებისთვის სამზადისს მოხმარდა. კანადაში ვან დე ვალემ ვერაფრით გამოიჩინა თავი, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ მოსკოვის ოლიმპიადაზე ჩემპიონი გახდა. ჟაკ როგეს აზრით, გაწეული ხარჯები მაინც ანაზღაურდა.

დღეს ბელგიაში პერსპექტიულ ოლიმპიელად მხოლოდ 27 სპორტსმენს მიიჩნევენ. სწორედ მათი სამზადისისთვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა. მომავალ ოლიმპიელთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე და მათთვის ნორმალური პირობების შექმნაზე ზრუნავს რამდენიმე დიდი საწარმო. სხვადასხვა ვალდებულებებს იღებენ კომერციული ფირმები და კომპანიები. გარკვეულ სახსრებს, ცხადია, მთავრობაც გამოჰყოფს. შემდეგ მთელი ეს თანხა ჯამდება და ნაწილი გადაეცემა ოლიმპიურ კომიტეტს სამზადისისთვის, ნაწილი კი, საერთოდ, სპორტის საჭიროებას მოხმარდება (ამ თანხაში შედის ოლიმპიური კომიტეტის მიერ გამოყოფილი 70 მილიონიც, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი).

ბელგიის წლევანდელ სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში წამყვანი ადგილი სრულიად ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებს (17-21 ივლისი) უკავია. ბრიუსელს ამ პერიოდში ეწვევა 2500-ზე მეტი 14-16 წლის ჭაბუკი, რომლებიც ხუთი დღის განმავლობაში სპორტის 10 სახეობაში იასპარეზებენ. ეს ღონისძიება, უკვე დაზუსტებული გაანგარიშებით 203 მილიონ ფრანკამდე დაჯდება.

ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი ფედერაციათაშორისო კომიტეტთან მჭიდრო კონტაქტის წყალობით ბევრ სხვა საინტერესო სპორტულ ღონისძიებას აფინანსებს. აი თუნდაც „ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირი ცხენის გაწვრთნაში“, „ედი მერქსის გრან-პრის“ველოსიპედისტებისთვის, ბელგიის დახურულ ჩემპიონატს ჩოგბურთში და ა. შ.

# როსბერგი ადანაშაულებს სენას

**მსოფლიოს** ყოფილმა ჩემპიონმა სერიოზული ეჭვი გამოთქვა რბოლების საერთო წესების მიმართ, როცა ბრაზილიელმა აირტონ სენამ და ფრანგმა ალენ პროსტმა განაგრძეს მომქანცველი ორთაბრძოლა ავსტრალიაში, „ფორმულა 1“ კლასის რბოლების ისტორიაში მე-500 „გრან პრის“ გათამაშებისას.

კეკე როსბერგს, 1982 წლის ჩემპიონს, აფიქრებს რბოლების დროს სენას ტაქტიკა. მას სჯერა, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია და ბრაზილიელი პილოტის მენეჯერი რონ დენისი, ყურადღებას გაამახვილებენ სენას შეცდომებზე.

როსბერგი წუხს. რომ, თუ არ აიცილებენ ისეთივე პაექრობის გარემოებას, როგორიც იყო სენასა და პროსტს შორის 1989-1990 წლებში, ამას აუცილებლად ვიღაც შეეწირება, შემდეგ კი ყველა ინანებს, რომ თავის დროზე სათანადო ზომები არ მიიღეს.

იმ სკანდალური შემთხვევის შემდეგ, პილოტები დიდხანს აკრიტიკებდნენ ერთმანეთს. როსბერგის აზრით, პასუხი სენამ უნდა აგოს, რადგან 109 ეტაპის მანძილზე იგი არაერთხელ ჩავარდნილა მსგავს სიტუაციაში, მაგრამ მაინც ჯიუტად განაგრძობს ახირებულ, თავზეხელაღებულ რბოლას.

როსბერგს, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია „უილიამსთან“ 1982-1985 წლებში, სჯერა, რომ „ჯენტლმენური ეთიკა“, რომელიც მის დროს იყო, მალე საერთოდ გაქრება.

როსბერგმა თქვა: ეს ჩემპიონობისკენ მიმავალი საშიში გზაა. ბევრი შემთხვევა მახსოვს, როცა ხშირად მხოლოდ ერთი გვარი ფიგურირებდა — სენა. აირტონი, უდავოდ, ძალიან სწრაფი და ნიჭიერია, მაგრამ არ უყვარს შეცდომებზე სწავლა. ბოლოს და ბოლოს, ის შეიძლება დაიღუპოს, ან ავარიას სხვა შეეწიროს“.

„სუზუკას“ ტრასაზე სენას არც უცდია გაესწრო პროსტისთვის, რაც იმით დამთავრდა, რომ „მაკლარენიც“ და „ფერარიც“ დაზიანდნენ. საბედნიეროდ, პილოტები გადარჩნენ.

როსბერგმა იკითხა: „ნუთუ სენამ ეს განზრახ გააკეთა?“

აირტონი ხშირად უშვებს ასეთ შეცდომებს. „მფრინავ ფინელს“, რომელიც „პექომ“ მიიწვია პროტოტიპებში საასპარეზოდ, არ ახსოვს, რომ პროსტი — ლაუდას ან პროსტი — პიკეს ორთაბრძოლა ჩემპიონობისთვის კატასტროფით დამთავრებულიყოს.

როსბერგს ახსენდება ის დღე, როცა ბოქსიდან გამოსვლისას სენა დაეჯახა მას, მაგრამ ფინელმა მაინც განაგრძო რბოლა და გაიმარჯვა კიდეც. მიუხედავად ამისა, ასაკი რომ ხელს არ უშლიდეს, როსბერგი კვლავ იასპარეზებდა სენას წინააღმდეგ.

„პექოს“ პილოტს სჯერა, რომ ვინმე მაინც გააფრთხილებს ბრაზილიელს. როსბერგი ამბობს: „ჩემი დიდი მეგობარი რონ დენისი, „მაკლარენის“ მენეჯერი, დროა გაერკვეს, თუ რა ხდება. სპეციალისტებიც უნდა ამოქმედდნენ. შარშანდელი შემთხვევის შემდეგ მათ არაფერი იღონეს და წელსაც იგივე განმეორდა.

ფაქტია, რომ 1990 წელს ავტომობილთა სიმძლავრე თითქმის გათანაბრდა და შეჯიბრება უფრო გაძნელდა, განსაკუთრებით ნელ, ხვეულ ტრასებზე, სადაც გასწრება არცთუ ისე ადვილია. ამიტომაც, პილოტების უმრავლესობა ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე ცდილობს ჩამოიტოვოს მეტოქე, რაც ხშირად ცუდად მთავრდება.

კეკე როსბერგს, რომელიც სტარტზე 114-ჯერ გამოვიდა, სჯერა, რომ მომავალ წელს უფრო მკაცრ კონტროლს გაუწევენ რბოლებს და არც ერთი, პატარა შეჯახებაც კი, დაუსჯელი არ დარჩება.

**გაზეთ „იუროპიენიდან“ თარგმნა დავით ჩუბინიძემ.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვანე კონტინენტის ჩემპიონები

**მელბურნი.** ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში ვაჟთა შორის გერმანელმა ბორის ბეკერმა მოიგო. ნახევარფინალში იგი შეხვდა ჯონ მაკინროუს უმცროს ძმას პატრიკს (აშშ) და დაამარცხა იგი 6:7, 6:4, 6:1, 6:1; მეორე ნახევარფინალში ივან ლენდლისა (ჩეხოსლოვაკია) და სტეფან ედბერგის (შვეცია) ორთაბრძოლა 4 საათზე მეტს გაგრძელდა და დამთავრდა ლენდლის გამარჯვებით 6:4, 5:7, 3:6, 7:6, 6:4.

ბეკერისა და ლენდლის ფინალური ბრძოლა, ცხადია, ამ ტურნირის გვირგვინი იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გერმანელ ჩოგბურთელს „დიდი მუზარადის“ ამ ტურნირში მერვე ადგილზე უკეთესი შედეგი არ ჰქონია. ამიტომ თავის მთავარ მეტოქესთან უაღრესად მობილიზებული, მონდომებული თამაშობდა და წარმატებასაც მიაღწია. გერმანელმა ჩოგბურთელმა გაიმარჯვა და პირველად მოიპოვა ავსტრალიის ჩემპიონის ტიტული — 1:6, 6:4, 6:4, 6:4. ამ გამარჯვებით 23 წლის ბორის ბეკერმა მსოფლიოს რეიტინგში გაუსწრო შვედ სტეფან ედბერგს და პირველ საფეხურზე დაიმკვიდრა ადგილი.

ქალთა ტურნირში გამარჯვება მოიპოვა იუგოსლაველმა მონიკა სელეშმა.

## ინფორმაცია

**ლევენი** (საფრანგეთი). ადგილობრივმა ხუთჭიდელმა ოდილ ლესაჟმა ბრწყინვალედ იასპარეზა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. მისი შედეგი — 4276 ქულა ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის. ლესაჟმა 60 მ. თარჯრბენში 8,67 აჩვენა, სიმაღლეზე ხტომაში — 178 სმ, სიგრძეზე ხტომაში კი 586 სმ დასძლია, ამავე დროს ბირთვი კრა 13,56 მეტრზე, 800 მეტრი კი 2.23.91-ში გაირბინა.

# ჯონსონის დაბრუნება

**ოტავა.** დიდ სპორტში დაბრუნება კანადელმა სპრინტერმა ბენ ჯონსონმა ბოლოს და ბოლოს გამარჯვებით აღნიშნა. მსოფლიოს, ოლიმპიური და კანადის რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში 1988 წელს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, დისკვალიფიცირებული იყო აკრძალული სამედიცინო პრეპარატების (სტეროიდების) გამოყენებისათვის. ეს მოხდა სეულის ოლიმპიადაზე. ჯონსონს ჩამოართვეს ოქროს მედალი, გაუუქმეს ყველა რეკორდი და დისკვალიფიკაციის ვადა 2 წლით განუსაზღვრეს. ახლა სასჯელის ვადა გავიდა და „ყოველმხრივ განწმენდილი“ (ყოველ შემთხვევაში კანადელ ჟურნალისტებს ასე მიაჩნიათ) ჯონსონი დაბრუნდა მძლეოსნურ ბილიკზე.

ოტავაში გამართული საერთაშორისო ტურნირი (დარბაზებში) ჯონსონისთვის მესამე სტარტი იყო რეაბილიტაციის შემდეგ. პირველი, ორი კვირის წინ შედგა ჰამილტონში, მაგრამ იქ ბენი მხოლოდ მეორე იყო. მას ამერიკელმა დეირონ კაუნსილმა აჯობა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯონსონმა მეორე შეჯიბრებაც წააგო, მაგრამ არც ამ მარცხისთვის მიუქცევია ყურადღება, რადგან მთავარ სტარტად ოტავის ტურნირს მიიჩნევდა.

სხვათა შორის, ოტავაში დეირონ კაუნსილიც გამოდიოდა, მაგრამ მან მხოლოდ მესამე ადგილი მოიპოვა. (55 მეტრზე — 6,24 წამი). მეორე



ჯონსონი ფინიშის შემდეგ

ადგილზე გავიდა კანადელი ბრაიან მორისონი — 6,21. ჯონსონმა კი... 29 წლის სპრინტერმა 6,20 წამი აჩვენა და თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა. საინტერესოა, რომ ეს შედეგი 0,19 წამით უარესია სამი წლის წინ მის მიერვე დამყარებულ და შემდეგ გაუქმებულ მსოფლიო რეკორდზე.

დარბაზში შეკრებილი მაყურებლები (ისინი სპეციალურად მოვიდნენ ექსრეკორდსმენის გამოსვლის სანახავად) მქუხარე ტაშით შეხვდნენ ჯონსონის გამარჯვებას. იქვე, სარბენ ბილიკზე, გაიმართა საინტერესო დიალოგი სპორტსმენსა და მაყურებლებს შორის და გამარჯვებულმა უამრავ შეკითხვას გასცა პასუხი. თხუთმეტი წუთის შემდეგ კი ჯონსონი ჟურნალისტებს შეხვდა. აქ მან აღნიშნა, რომ სპორტში დაბრუნება ნორმალურად, გრაფიკის მიხედვით მიდის, მაგრამ არის ერთი პრობლემა: არ გამოსდის „ფეთქებადი“ სტარტი, რომელსაც მისთვის, როგორც წესი, მხოლოდ წარმატება მოჰქონდა.

# ნურავის დაივიწყებთ

**სხვადასხვა** პერიოდის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აქვს მიღებული ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 112 მძლეოსანს. მათ ანგარიშზე მოდის 153 მედალი (საშუალოდ ერთ ოლიმპიელზე ერთ ჯილდოზე მეტი). ერთი ამ სპორტსმენთაგანი, სახელდობრ 51 წლის კარინ ბალცერი დღეს ფიზაღზრდის მასწავლებლად მუშაობს ოდერის ფრანკფურტში.

60-70-იან წლებში იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თარჯმრბენი იყო. ბალცერი ოთხი ოლიმპიადის (რომი, ტოკიო, მეხიკო, მიუნხენი) მონაწილეა. 1964 წელს ტოკიოში ოქროს მედალი მოიპოვა, 1972 წელს მიუნხენის თამაშებში კი ბრინჯაოსი. აღნიშნულის გარდა, გერმანელ მძლეოსანს შვიდჯერ აქვს გაუმჯობესებული მსოფლიო რეკორდი.

ამ დღეებში კარინ ბალცერს მოკლე ინტერვიუ ჩამოართვა „ბერლინერ ცაიტუნგის“ კორესპონდენტმა:

● **თქვენ ამ ცოტა ხნის წინ სპეციალური ხიგელით დაჯილდოვდით?**

— დიახ, იყო ასეთი შემთხვევა.

● **კარგია რომ არ გივიწყებენ?**

— რა თქმა უნდა. ჩემს ასაკში და მდგომარეობაში სულ მცირედიც საკმარისია, რომ ცრემლი მოგივიდეს.

● **რას გრძნობდით დაჯილდოების დროს?**

— ვიხსენებდი ძველ გამარჯვებებს. მას შემდეგ, რაც თავი დავანებე სპორტს, პირველად ვიგრძენი ბედნიერება.

● **უფრო მეტად, ვიდრე ტოკიოში?**

— არა. ის სულ სხვა სიხარული იყო. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა კი ქალამნად. „სიბერეში“ განცდილ სიხარულს სხვა ფასი აქვს. იგი ოდნავ სევდანარევია, მაგრამ მაინც სასიამოვნო...

● **თქვენს გამარჯვებას ტოკიოში დიდი რეზონანსი ჰქონდა. რით იყო გამოწვეული ეს?**

— მე გახლდით პირველი მძლეოსანი აღმოსავლეთ გერმანიიდან, რომელიც ოლიმპიური ოქროს მედლით დაჯილდოვდა. პირველს ყველაფერს, მოგეხსენებათ, ორმაგი ფასი აქვს და მეც ამის გამო ამიყვანეს ცაში.

● **ვის უმადლოდით თქვენ, როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, ამ გამარჯვებას?**

— როცა ასეთ შეკითხვას გისვამენ, უნდა ეცადო არავინ დაგავიწყდეს, არავინ გამოგრჩეს. მე, მაგალითად, ჩემი ამ გამარჯვების თანაავტორად გიზელა ბირკმაიერი მიმაჩნია. იგი შესანიშნავი მძლეოსანი იყო, ღირსეული მეტოქე და მეგობარი. საერთოდ კი, ჩვენს გუნდში სხვა ექსტრაკლასის თარჯმრბენებიც გამოდიოდნენ — პოდესვა, კლირი, ერჰარდტი. ჩვენ ერთმანეთს ვეპაექრებოდით, სტიმულს ვაძლევდით და ამ ჯანსაღ ბრძოლაში შესანიშნავი გამარჯვებები იბადებოდა.

● **თუ აგრძელებს თქვენი ოჯახი სპორტულ ტრადიციებს?**

— ჩემს ვაჟიშვილს, ფრანცს, ავარჯიშებს ჩემი მეუღლე კარლ-ჰაინცი. როგორც ამბობს, კარგი თარჯმრბენი უნდა დადგეს.

## „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-4 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 1. (კალათბურთი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 23 (თხილამურებით ხტომა დაორჭიდი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 38 (ალპინიზმი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 3 (ბობსლეი), 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყვიის სროლა).

**რედაქტორის მოადგილე**
**თამაზ მიგრიაული**

## ნარდის ეროვნული ფედერაციის წევრთა საყურადღებოდ!

**რესპუბლიკის** ნარდის ეროვნული ფედერაცია 14-17 თებერვალს ატარებს მორიგ ტურნირს „ივერიის თასი“.

მსურველებს შეუძლიათ გაიარონ რეგისტრაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში ყოველდღე კვირის გარდა 12-დან 15 საათამდე, 10 თებერვლის ჩათვლით (თბილისი, მ. კოსტავას, 27).

ტურნირში მონაწილეობისთვის შესატანია თანხა 250 მანეთის ოდენობით.

ტურნირი ჩატარდება საერთაშორისო წესებით, აქვე იწარმოებს ფედერაციაში შესვლის მსურველთა გაწევრიანება.

**ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი.**

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ი. ჩახვაშვილი, კორექტორები მ. ძეძამიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096 თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „მორთვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20